ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 289

« 15 » აგვისტო 2017 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ა(ა)იპ „Rockefeller Philanthropy Advisors, Inc - ფონდს" შორის „100 მედეგი ქალაქის ინიციატივის" ფარგლებში, გასაფორმებელი გრანტის ხელშეკრულების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, მე-100 მუხლის მე-7 პუნქტის და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ა(ა)იპ „Rockefeller Philanthropy Advisors, Inc."-ს შორის „100 მედეგი ქალაქის ინიციატივის" ფარგლებში, გასაფორმებელი გრანტის ხელშეკრულების დადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 9 აგვისტოს №29.19.591 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ა(ა)იპ „Rockefeller Philanthropy Advisors, Inc - ფონდს" შორის „100 მედეგი ქალაქის ინიციატივის" ფარგლებში, გასაფორმებელი გრანტის ხელშეკრულების ფარგლებში 124 800 (ასოცდაოთხიათასრვაასი) ლარის ოდენობით გრანტის მიღების თაობაზე.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი